გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 102

ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზირი №123. 22 ივნისი 2015 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 პრიმა-„1" მუხლის მე-3 ნაწილის, „ვ" პუნქტის საფუძველზე წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა, რომლის დაფინანსების წყაროა – ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი (საკუთარი სახსრები) – 2163.77 ლარი (25%) და სახელმწიფო ბიუჯეტი - 6500 ლარი (75%).

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ სსიპ "ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი" (ს/კ 202050458) – წარმომადგენელი – დირექტორი ნინო სუხიშვილი (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ №123 და მეორეს მხრივ შპს აიღვინის სახლი (ს/კ 406128275) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი -დირექტორი ბენედიქტე ქაშაკაშვილი (შემდეგ მიმწოდებელი) ელ.ფოსტა: iwinehouse2014@gmail.com იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, XIX მ/რ, კორ. 23, ბ. 24 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ "ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის" სახელით განსახორციელებელ ღონისძიებაზე გასაწევი წარმომადგენლობითი ხარჯი, კერძოდ: მოწვეული სტუმრების CPV– 55110000 – სასტუმროში დაბინავების მომსახურება, კერძოდ: ხელშეკრულების დანართის - ინვოისის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 8663,77 ლარს (რვა ათას ექვსას სამოცდასამი ლარი და 77 თეთრი).
3.2 ხელშეკრულების ღირებულება, მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სხვა გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის - მომსახურების მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის - მომსახურების გაწევის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის და/ან მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის (ინვოისის ან ანგარიშ-ფაქტურა ან/და მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის გამვალობაში.
4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი, კერძოდ: ანსამბლის დირექტორი ნინო სუხიშვილი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
ბ) მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სანიტარული წესები და უსაფრთხოების ნორმები.
დ) ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, თუ მისგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზები და გარემოებები საფრთხეს უქმნის ან შეუქმნის მის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების განხორციელებას.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
6.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
6.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის
მოქმედების დასრულებისთანავე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 10 აგვისტომდე ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადებში სრულ შესრულებამდე.

11. სხვა პირობები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ "ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი" (ს/კ 202050458)	შპს აიღვინის სახლი (ს/კ 406128275)
წარმომადგენელი – დირექტორი ნინო სუხიშვილი	წარმომადგენელი - დირექტორი ბენედიქტე ქაშაკაშვილი
ხელმოწერა: ----------	ხელმოწერა: ----------